

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და
დისციპლინური სამართალწარმოება
ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში

(შედარებითი მომოხილვა)

თბილისი 2014

ავტორი: კახა წიქარიშვილი, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის
წევრი

შესავალი	3
1. დისციპლინური სამართალწარმოების მარეგულირებელი კანონმდებლობა	3
2. დისციპლინურ გადაცდომათა სახეები	4
3. დისციპლინური სახდელები	14
4. დისციპლინური პროცესი.....	16

შესავალი

საქართველოში, ისევე როგორც მრავალ ევროპულ და პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა სწრაფ ევოლუციას განიცდის. თანამედროვე ეტაპზე დისციპლინური სამართალწარმოების რეფორმის მიზანია მისი დაახლოვება საერთო-ევროპულ სტანდარტებთან. დისციპლინური სამართალწარმოების დროს მნიშვნელოვანია შენარჩუნდეს ბალანსი ისეთ მიზნებს შორის როგორცაა ერთის მხრივ მოსამართლის მიერ ჩადენილი გადაცდომის ეფექტური გამოვლენა-გამოძიება და მეორეს მხრივ მოსამართლის უფლებების დაცვა, სასამართლოს დამოუკიდებლობა და მის საქმიანობაში ჩაურევლობა.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლას, რაც მნიშვნელოვანი უნდა იყოს ქართული კანონმდებლობის განვითარების დღევანდელ ეტაპისათვის. კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა 16 ევროპული ქვეყნის კანონმდებლობა¹ და გამოიკვეთა ბევრი სხვადასხვა მოდელი. შესწავლის დროს აქცენტი გაკეთდა ისეთ საკითხებზე, როგორცაა: დისციპლინური სამართალწარმოების მარეგულირებელი კანონმდებლობა, დისციპლინური გადაცდომები და დისციპლინური სახდელები, დისციპლინური საქმის მოკვლევა, არსებითი განხილვა, სამართალწარმოების ვადები, კონფიდენციალობა, დაცვის უფლებები, გადანყვეტილებათა გასაჩივრება.

1. დისციპლინური სამართალწარმოების მარეგულირებელი კანონმდებლობა

შესწავლილ სისტემებში დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს და დისციპლინურ სამართალწარმოებას ძირითადად ის ნორმატიული აქტი არეგულირებს, რომელიც ეხება სასამართლო სისტემის ორგანიზაციას და მართვას, მოსამართლეთა შერჩევას, დანიშნურებას, შეფასებას და გათავისუფლებას. ეს შეიძლება იყოს კანონი სასამართლო ხელისუფლების ან სასამართლოს მონყოლის შესახებ (ბულგარეთი, ესპანეთი, პოლონეთი), კანონი სასამართლოს (იუსტიციის საბჭოს) შესახებ (კოსოვო, მონტენეგრო, ბოსნია), კანონი მოსამართლის და პროკურორის სტატუსის შესახებ (რუმინეთი, საფრანგეთი). მოსამართლეთა პასუხისმგებლობის მარეგულირებელი პრინციპული დებულებები ასევე გვხვდება მრავალი ქვეყნის კონსტიტუციაში. ზოგ ქვეყანაში უფრო დეტალური რეგულირება რეგულაციები იუსტიციის საბჭოს მიერ დამტკიცებულ

¹ ალბანეთი, ბოსნია, ბულგარეთი, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, ესპანეთი, იტალია, მაკედონია, მონტენეგრო, ნიდერლანდები, კოსოვო, პოლონეთი, რუმინეთი, საფრანგეთი, სერბეთი, ხორვატია.

კანონქვემდებარე აქტებში (შემდგომში, სიმარტივისთვის სხვადასხვა აქტებს მოვიხსენიებთ, „კანონის“ ან „ნესების სახით).²

ზოგან მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი ცალკე კანონით (იტალია) ან კანონქვემდებარე აქტით (მაგ. მაკედონია, სერბეთი, დიდი ბრიტანეთი) რეგულირდება.

საინტერესოა ის, რომ პროცესუალური საკითხების განხილვისას კანონმდებლობა ხშირად მითითებას აკეთებს სისხლის ან სამოქალაქო საპროცესო კოდექსებზე. მაგალითად, იტალიის კანონის მე-16 მუხლი მიუთითებს, რომ დისციპლინური საქმის მოკვლევის დროს გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები³, ხოლო ბულგარეთის კანონი მიუთითებს, რომ საქმისწარმოებისას გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები.

2. დისციპლინურ გადაცდომათა სახეები

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის განხილვისას დიდი მნიშვნელობა აქვს დისციპლინურ გადაცდომათა სახეების და მათზე დაწესებული სანქციების განსაზღვრას. ეს არის სწორედ დისციპლინური სისტემის ის „მატერიალურ-სამართლებრივი ნაწილი“ (განსხვავებით საქმისწარმოების მარეგულირებელი ნორმებისგან), რომელიც ადგენს თუ მოსამართლის რომელი ქცევა ისჯება და რა ფორმით.

ამ კუთხით ქვეყნები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ზოგ ქვეყანაში დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალი ძალიან დეტალურია, ხოლო ზოგან ძალიან მწირი.

დისციპლინურ გადაცდომათა სახეების დეტალური საკანონმდებლო რეგულირების კუთხით გამოირჩევა იტალია და ესპანეთი, სადაც კანონი 30-ზე მეტი სახის გადაცდომას იცნობს. შედარებით მწირი ჩამონათვალია მოცემული პოლონეთისა და მონტენეგროს კანონებში, სადაც კანონმდებელი რამდენიმე ზოგადი ფორმულით შემოიფარგლება.

თუმცა ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ შესაძლებელია მწირი საკანონმდებლო ფორმულა შეივსოს მდიდარი სასამართლო პრაქტიკით. მაგ. საფრანგეთს აქვს ძალიან ზოგადი

² ალბანეთის 2001 წლის კანონი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოწყობისა და ფუნქციონირების თაობაზე; 2008 წლის კანონი სასამართლო ხელისუფლების მოწყობის შესახებ; ბოსნიის 2013 წლის კანონპროექტი იუსტიციისა და პროკურატურის საბჭოს შესახებ; ბულგარეთის სასამართლო სისტემის შესახებ 2007 წლის კანონი; 2012 წლის რეგულაცია მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოს ორგანიზაციისა და ადმინისტრირების თაობაზე; გაერთიანებული სამეფოს სამოსამართლო ქცევის წესები - Judicial conduct rules 2014; სამოსამართლო დისციპლინის რეგულაცია - judicial discipline regulations 2014 დამტკიცებული ლორდი კანცლერის და ლორდი მთავარი მოსამართლის მიერ; ესპანეთის 1985 წლის ორგანული კანონი სასამართლოს შესახებ; იტალიის 2006 წლის კანონი მაგისტრატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე; მონტენეგროს 2011 წლის კანონი სამოსამართლო საბჭოს შესახებ, 2011 წელს მიღებული სასამართლო საბჭოს წესები; კოსოვოს 2010 წლის კანონი სასამართლო საბჭოს თაობაზე; პოლონეთის 2001 წლის კანონი საერთო სასამართლოების მოწყობის შესახებ; რუმინეთის 2004 წლის კანონი მოსამართლეებისა და პროკურორების სტატუსის თაობაზე (კანონი I), 2005 წლის კანონი მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს თაობაზე (კანონი II); საფრანგეთის 1958 წლის ორგანული კანონი მაგისტრატურის სტატუსის შესახებ; სერბეთის 2008 წლის კანონი მოსამართლეთა შესახებ; ასევე, დისციპლინური საქმისწარმოების 2010 წლის წესები; ხორვატიის 1993 წლის კანონი სასამართლო საბჭოს თაობაზე.

³ მსგავსი ჩანაწერი გვხვდება სერბეთის, პოლონეთის, ხორვატიის კანონებში.

საკანონმდებლო ფორმულა⁴, რომელიც დეტალურად არის განმარტებული მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს 200 ზე მეტ გადაწყვეტილებაში.

სხვადასხვა სისტემების შესწავლისას შესაძლებელია გამოვეყოთ 25-მდე სხვადასხვა კატეგორიის დისციპლინური გადაცდომა, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით გვხვდება ევროპული ქვეყნების კანონმდებლობაში.

ზოგი ქვეყნის (ესპანეთისა და ალბანეთის) სისტემა დისციპლინურ დარღვევებს ყოფს სამ ჯგუფად: განსაკუთრებით მძიმე, მძიმე და მსუბუქ დარღვევებად იყოფა. ამ დაყოფის ერთ-ერთი მიზანი არის ის, რომ სხვადასხვა კატეგორიის დარღვევებზე გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სანქციები (ესპანეთში, ასევე, მოქმედებს სხვადასხვა ხანდაზმულობის ვადები).

იტალიის კანონმდებლობა იცნობს გადაცდომათა 2 ჯგუფს: 1) გადაცდომები, რომლებიც შეიძლება ჩადენილ იქნას მოსამართლის მიერ სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას და 2) გადაცდომები, რომელთა ჩადენაც შესაძლებელია საქმიანობის ფარგლებს გარეთ.

დისციპლინური გადაცდომების ზოგადი დახასიათებისას აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ გადაცდომები ერთმანეთისგან განსხვავდება ობიექტური ან სუბიექტური მხარის თავისებურებების მიხედვით. მაგალითად, ზოგიერთი ტიპის გადაცდომა შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ უმოქმედობით⁵, ზოგი მხოლოდ მოქმედებით⁶ (თუმცა მათი უმრავლესობა შეიძლება ჩადენილ იქნას, როგორც მოქმედებით, ასევე, უმოქმედობით). ზოგჯერ კანონი ითხოვს კონკრეტული შედეგის დადგომას, ან ასეთი შედეგის დადგომის საფრთხის შექმნას⁷; ან საგანგებოდ მიუთითებს ქმედების განხორციელების ხერხზე⁸, ან ხაზს უსვამს ქმედების სისტემატურობას ან განმეორებითობას⁹. ასევე, კანონმდებელი ზოგჯერ ყურადღებას ამახვილებს ქმედების სუბიექტურ მხარეზე, მაგ. კანონი ითხოვს, რომ ესა თუ ის ქმედება შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ განზრახ¹⁰, არაკეთილსინდისიერად ან უხეში დაუდევრობით¹¹, ან წინასწარი შეცნობით¹² და სხვ.

განვიხილოთ გადაცდომათა თითოეული ჯგუფი.

⁴ Tout manquement par un magistrat aux devoirs de son état, à l'honneur, à la délicatesse ou à la dignité, constitue une faute disciplinaire.

„მაგისტრატის მიერ მისი სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულებების, პატივის, თავზაზიანობისა თუ ღირსების შელახვა ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად“.

⁵ მაგ. სასამართლო გადაწყვეტილებაში დასაბუთების აბსოლუტური არ არსებობა - ალბანეთის კანონი, მუხ. 32 (2) „ე“; ქონების დეკლარირებაზე უარი - იმავე კანონის 32-ე მუხლის „დ“ პუნქტი.

⁶ მაგ. სასამართლო გადაწყვეტილებათა ტექსტში არაჯეროვანი გამოთქმების გამოყენება, რომლებიც ეწინააღმდეგება იურიდიულ დასაბუთებას, ხელყოფს სასამართლოს და მაგისტრის ღირსებას, რუმინეთის კანონი, 99-ე მუხლის „ტ“ პუნქტი.

⁷ მაგ. ალბანეთის კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ პუნქტი: გ. სამსახურის მიტოვება ან განგრძობადი გამოუცხადებლობა სამი ან მეტი დღით, როდესაც გამოიწვია ან შეიძლება გამოიწვიოს მხარეთა კონსტიტუციური უფლებების ხელყოფა ან ზიანი მოუტანოს მართლმსაჯულების განხორციელებას“.

⁸ ესპანეთის კანონის 418 მუხლის პირველი პუნქტი: „იერარქიის მაღალ საფეხურზე მდგომი კოლეგების უპატივცემლობა მათი თანდასწრებით, ან წერილობით ან საჯაროდ“.

⁹ ბულგარეთის კანონი მუხ. 301 (1) საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადების სისტემატური შეუსრულებლობა. რუმინეთის კანონი, მუხ. 99 (თ): „საქმეების სწრაფი განხილვის მარეგულირებელი ნორმების განმეორებითი და არასაპატიო დარღვევა“.

¹⁰ მაკედონიის კანონის 75-ე მუხლი: სამართლიანი პროცესის წესების განზრახ დარღვევა

¹¹ იხ. მაგ. რუმინეთის კანონი მუხ. 99 (ფ): სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელება არაკეთილსინდისიერად ან უხეში დაუდევრობით.

¹² იტალიის კანონის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტი „კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქმის აცილების ვალდებულების წინასწარი შეცნობით შეუსრულებლობა“.

2.1. მოსამართლის მიერ საქმის განხილვის დროს კანონის დარღვევა

ევროპული ქვეყნების კანონმდებლობათა შესწავლით ვლინდება, რომ მოსამართლის მიერ საქმის განხილვის დროს კანონის დარღვევა არ არის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი, თუ მას არ ახლავს რაიმე დამატებითი წინაპირობა (ცალკე, ან სხვა წინაპირობებთან ერთად). ეს წინაპირობები შეიძლება იყოს: საპროცესო კანონმდებლობის **იმპერატიული** ნორმის დარღვევა; **უხეში, აშკარა ან მძიმე** კანონდარღვევის ჩადენა; გადაცდომის ჩადენა **განზრახ** (წინასწარ შეცნობით); არღვევს **სამართლიანი პროცესის წესების** ან **ფუნდამენტურ საპროცესო გარანტიების** ან მხარეთა **კონსტიტუციურ უფლებების** დარღვევა; დარღვევის დადგენა **კანონიერ ძალაში** შესული სასამართლო გადაწყვეტილებით; მოსამართლის **არასაპატიო უცოდინრობა ან დაუდევრობა**; დარღვევის **სისტემატურობა**; ზიანის მიყენება სასამართლოს ავტორიტეტისთვის; მოსამართლის მიერ უფლებამოსილების გადამეტება;

შესაბამისად, სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობით დისციპლინურ გადაცდომად ითვლება:

- მოსამართლის მიერ საკუთარი მოვალეობის შეუსრულებლობა, ასევე ისეთი პროცესუალური ნორმის შეცნობილი და მძიმე დარღვევა, რომელიც წარმოადგენს მხარეთა უფლებების ფუნდამენტურ გარანტიას და რომელიც დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით (საფრანგეთი);
- იმპერატიული საპროცესო ნორმების განმეორებითი და გაუმართლებელი დარღვევები, როდესაც ამ დარღვევებმა გამოიწვია, ან შეეძლო გამოეწვია მხარეთა კონსტიტუციური უფლებების დარღვევა, ან ზიანი მოეტანა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის (ალბანეთი);
- სამართლიანი პროცესის წესების განზრახ დარღვევა (მაკედონია);
- მხარეთა და სამართალწარმოების სხვა მონაწილეთა უფლებების უხეში დარღვევა, რომელიც ზიანს აყენებს სასამართლოს ავტორიტეტს და სასამართლოს ფუნქციას (მაკედონია);
- გადაწყვეტილების გამოტანა კანონის აშკარა დარღვევით ან საქმისწარმოების წესების სისტემატიური და გაუმართლებელი დარღვევა (ბოსნია);
- სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელება არაკეთილსინდისიერად ან უხეში დაუდევრობით (რუმინეთი);
- კანონის ნორმების უხეში დარღვევა და სამოსამართლო ვალდებულებების დარღვევა (პოლონეთი);
- კონტიტუციისადმი ერთგულების ვალდებულების დარღვევა, რომელიც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. ესპანეთი: განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი მოქმედებები ან უმოქმედობანი, რომლებმაც გამოიწვია სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამოქალაქო პასუხისმგებლობა (ესპანეთი);
- კანონის უხეში დარღვევა, რომელიც გამოწვეულია არასაპატიო უცოდინრობით ან დაუდევრობით (იტალია);

- საპროცესო აქტის მიღება, რომელიც ზღუდავს ინდივიდუალურ თავისუფლებას, კანონით დადგენილი ფარგლების გარეშე, რაც გამონწვეულია უხეში და არასაპატიო დაუდევრობით (იტალია);

2.2. ხარვეზები სასამართლო გადაწყვეტილებაში

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით, სასამართლო გადაწყვეტილება მისი ფორმის, შინაარსის ან მასში გამოყენებული ლექსიკის გამო, შესაძლებელია გახდეს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი. კერძოდ, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებას 1. არ ახლავს **სავალდებულო დასაბუთება** (ალბანეთი¹³, იტალია¹⁴, რუმინეთი); 2. გადაწყვეტილების სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილები **წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან** (იტალია¹⁵); 3. გადაწყვეტილებაში მოსამართლე იყენებს არაჯეროვან, შეურაცხმყოფელ **ტერმინოლოგიას** (ალბანეთი¹⁶, ესპანეთი¹⁷, რუმინეთი).

2.3. საქმის დაუსაბუთებელი აცილება ან აცილებაზე უარი.

აქ მოიაზრება 2 სხვადასხვა ტიპის გადაცდომა: მოსამართლის მიერ საქმის უსაფუძვლო აცილება (ესპანეთი) და საქმის აცილებაზე უსაფუძვლო უარი (ალბანეთი, ბოსნია, სერბეთი, ესპანეთი, იტალია, რუმინეთი).

აღნიშნული ქვეყნებიდან მხოლოდ იტალიის და ესპანეთის კანონმდებლობა აღნიშნავს, რომ ეს გადაცდომა ჩადენილი უნდა იყოს წინასწარი შეცნობით. სხვა ქვეყნებში ბრალის ფორმაზე მითითება არ გვაქვს.

2.4. მიუკერძოება და მხარეთა თანასწორობის დარღვევა

აქ მოიაზრება შემთხვევები, როდესაც მოსამართლე არღვევს **მიუკერძოებლობის** და **დამოუკიდებლობის** პრინციპს ზოგადად (ბოსნია, სერბეთი, კოსოვო) ან მხოლოდ საქმის განხილვის დროს (მაკედონია), ან ამყარებს **არაჯეროვან ურთიერთობებს** მხარეებთან (ალბანეთი, სერბეთი, ბოსნია), არღვევს მხარეთა **თანასწორობის პრინციპს** ან ახდენს მოქალაქის **დისკრიმინაციას** (იტალია, ბოსნია, მაკედონია).

¹³ ალბანეთის კანონის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტით, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველია „სასამართლო გადაწყვეტილებაში დასაბუთების აბსოლუტურად არ არსებობა“.

¹⁴ ხოლო იტალიის კანონის მე-2 მუხლის „მ“ პუნქტით, „აქტის გამოცემა კანონით დადგენილი სავალდებულო მოტივაციის გარეშე, ანუ რომლის მოტივაციაც შედგება მხოლოდ კანონიერი საფუძვლის არსებობის დადასტურებისგან, ფაქტობრივი ელემენტების მითითების გარეშე, რომლებიც ამ საფუძვლების არსებობას ადასტურებენ“.

¹⁵ იტალიის კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტი: „საპროცესო აქტების განზრახ შედგენა, რომლის სარეზოლუციო და სამოტივაციო ნაწილი ლოგიკურად, შინაარსობრივად ან არგუმენტების თვალსაზრისით აშკარა, წინასწარ დადგენილ და უღაო წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან“.

¹⁶ არაჯეროვანი, შეურაცხმყოფელი გამოთქმების გამოყენება გადაწყვეტილების დასაბუთებისას (ალბანეთი).

¹⁷ იურიდიული დასაბუთების თვალსაზრისით, სასამართლო გადაწყვეტილებებში უსარგებლო ან უადგილო, უგზური, ან აშკარად შეურაცხმყოფელი ან უპატივცემლო გამოთქმების გამოყენება (ესპანეთი).

2.5. საქმისწარმოების გაჭიანურება.

საქმისწარმოების გაჭიანურება ამა თუ იმ ფორმით გვხვდება შესწავლილ სამართლებრივ სისტემებში. ეს შეიძლება იყოს: კანონით დადგენილი ვადების დაუცველობა (ბულგარეთი), საქმისწარმოების გაჭიანურება (ბულგარეთი), გონივრულ ვადაში საქმის განხილვის პრინციპის დარღვევა (მაკედონია), გადანაცვებების გამოტანა, წერილობითი გადანაცვებების შედგენა ან სხვა მოქმედების განხორციელება დაყოვნებით (ბოსნია, სერბეთი).

ხშირ შემთხვევებში საქმისწარმოების გაჭიანურება თავისთავად არ წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას¹⁸, თუ ეს არ არის არასაპატიო (მაკედონია, სერბეთი, რუმინეთი, ესპანეთი), ან გაუმართლებელი (ბოსნია), ან უსაფუძვლო (ბულგარეთი), განმეორებითი (ესპანეთი, ბოსნია, რუმინეთი), ან სისტემატური (ბულგარეთი), ან თუ ამას შედეგად არ მოყვება მხარეთა კონსტიტუციური უფლებების, ან მართლმსაჯულების ინტერესის რეალური ან პოტენციური ხელყოფა (ალბანეთი).

საპროცესო ვადების დარღვევის კუთხით, ასევე, საინტერესო იტალიის მაგალითი, სადაც კანონმდებლობით, ისჯება მხოლოდ სავალდებულო მოქმედების განხორციელება სერიოზული და გაუმართლებელი გაჭიანურებით. გაჭიანურება არ ითვლება სერიოზულად, თუ მოქმედების შესრულების ვადა არ აჭარბებს კანონით დადგენილი ვადის სამმაგ ოდენობას.

ზოგიერთ ქვეყანაში დაყოვნებული საქმეების შესახებ სასამართლოს თავმჯდომარისთვის შეტყობინება მოსამართლის ვალდებულებას წარმოადგენს, რომლის შეუსრულებლობა დისციპლინური წესით ისჯება, მაგ. სერბეთის კანონმდებლობით დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს არასაპატიო მიზეზით სასამართლოს თავმჯდომარისათვის მის წარმოებაში არსებული დაყოვნებული საქმეების შეუტყობინებლობა.

2.6. სხდომაზე დაგვიანება

მოსამართლის დაგვიანება საქმის განხილვაზე შესაძლებელია გახდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი თუ ეს არის ხშირი (სერბეთი) ან განმეორებითი (ალბანეთი) ან გამოიხატება საქმეთა განხილვის კონკრეტული გრაფიკის დაუცველობაში (მაკედონია).

2.7. სასამართლოს შიდა რეგულაციების დარღვევა

ამ ჯგუფის ქვეშ მოიზრება სხვადასხვა ტიპის დარღვევები, როგორცაა სამოსამართლო საქმიანობის მარეგულირებელი კომპეტენტური ორგანოს მიერ დადგენილი ნორმების განმეორებითი ან უხეში დარღვევა (იტალია); გადანაცვებებათა მიღება პროცედურების ბოროტად გამოყენებით, რაც ინვესტს სამუშაოს ოდენობის ფიქტიურ გაზრდას გენერალური საბჭოს მიერ შემუშავებული კალკულაციის სისტემის შესაბამისად (ესპანეთი); სასამართლოს გენერალური საბჭოს, ან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ან ეროვნული სასამართლოს ან იუსტიციის უმაღლესი სასამართლოს, ან პალატების მიერ დაკისრებული მოთხოვნების შეუსრულებლობა ან უპატივცემლობა, ან ამ ორგანოთა ინსპექციის საქმიანობის ხელის შეშლა (ესპანეთი).

¹⁸ გამონაკლისია ბულგარეთი.

2.8. საქმეთა განაწილების ნორმების დარღვევა

აქ იგულისხმება იმ ნორმების დარღვევა, რომლებიც არეგულირებენ მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილებას. ეს შეიძლება იყოს უწყების ხელმძღვანელის ან სხდომის, ან კოლეგიის თავმჯდომარის მიერ საქმეების განაწილების ვალდებულების შეუსრულებლობა და შესაბამისი აქტების შეუდგენლობა (იტალია); საქმეთა ალბათობით განაწილების მარეგულირებელი ნორმის დაუცველობა (რუმინეთი).

2.9. მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება

ასეთია სამოსამართლო ვალდებულების შეუსრულებლობა (იტალია, ბულგარეთი, რუმინეთი) ან დაუდევარი (ხორვატია, ბოსნია, კოსოვო, მონტენეგრო), უგულისყურო (ბოსნია) ან არაკვალიფიციური (მაკედონია) შესრულება, ჩადენილი საქმეების განხილვისას (მაკედონია) ან მის გარეთ, ერთჯერადად¹⁹ ან სისტემატურად და არასაპატიო მიზეზით (იტალია).

თუ რა იგულისხმება მოვალეობის შეუსრულებლობასა ან არაჯეროვან შესრულებაში, როგორც წესი, კანონი არ აკონკრეტებს და მისი განმარტება სადისციპლინო პრაქტიკის სფეროს განეკუთვნება.

2.10. საიდუმლო ინფორმაციის გახმაურება

ამ კატეგორიის ქვეშ ექცევა 2 სხვადასხვა სახის გადაცდომა: თათბირის საიდუმლოების დარღვევა (რუმინეთი) ან სხვა სახის ოფიციალური საიდუმლოს გაცემა ან გახმაურება (ალბანეთი, ესპანეთი, მაკედონია, ბოსნია, ხორვატია).

მითითებული ქვეყნებიდან მხოლოდ ესპანეთი ითხოვს კონკრეტული ზიანის დადგომას, ხოლო სხვა დანარჩენ სისტემებში აკრძალული ინფორმაციის გაცემა საკმარისია გადაცდომის დასადგენად.

2.11. სხვა მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა

ასეთი ტიპის გადაცდომას იცნობს მხოლოდ 3 ქვეყნის კანონმდებლობა, კერძოდ, ალბანეთში ეს არის "სხვა მოსამართლის მიერ უფლებამოსილების განხორციელებაში ჩარევა ან ნებისმიერი სხვა სახის ზემოქმედება", ესპანეთში ეს არის ბრძანებით, ზენოლით ან ნებისმიერი სხვა მეთოდით მოსამართლის ან მაგისტრატის საქმიანობაში ჩარევა", ხოლო ბოსნიაში - "მოსამართლეზე ან პროკურორზე ზემოქმედება მისი საქმიანობის ხელისშემშლის ან დაკნინების მიზნით".

2.12. მოსამართლის მიერ სხვათა უპატივცემლობა სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების დროს

აღნიშნული მოიცავს კოლეგების, სასამართლო აპარატისა და საქმისწარმოებაში მონაწილე პირთა მიმართ უპატივცემლო დამოკიდებულებას მოსამართლის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების

¹⁹ იტალიის გარდა, ერთჯერადი დარღვევა ყველგან საკმარისია დისციპლინურ გადაცდომად ამ ქმედების კვალიფიცირებისთვის.

განხორციელებისას. ამდაგვარი ჩანაწერი გვხვდება იტალიის, რუმინეთის, ესპანეთის, ბოსნიის, ალბანეთის კანონმდებლობაში.

გარკვეული თავისებურებით გამოირჩევა ესპანეთის კანონმდებლობა, სადაც ცალკე გადაცდომის სახეს წარმოადგენს იერარქიის მაღალ საფეხურზე მდგომი კოლეგების უპატივცემლობა მათი თანდასწრებით ან წერილობით ან საჯაროდ.

2.13. მოსამართლისათვის შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება

საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით აღნიშნული გადაცდომა გვხვდება 3 სხვადასხვა ვარიაციის სახით:

1. კანონი პირდაპირ მიუთითებს თუ რა სახის საქმიანობა ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად (ალბანეთი); 2. კანონი მითითებს აკეთებს სხვა ნორმაზე, სადაც დაკონკრეტებულია მოსამართლისთვის დასაშვები და დაუშვებელი საქმიანობა (ესპანეთი); 3. ან კანონი ზოგადად ადგენს რომ აკრძალულია მოსამართლის შეუთავსებელი საქმიანობა (სერბეთი, ბოსნია, ხორვატია, იტალია).

2.14. გაფიცვა

გადაცდომის ეს სახე სპეციალურად არის გათვალისწინებული ალბანეთის კანონმდებლობით, რომლის 23-ე მუხლი მოსამართლეს უკრძალავს გაფიცვას, ხოლო 32-ე მუხლი კი დასჯადად აცხადებს კანონის 23-ე მუხლის დარღვევას.

2.15. ქონების დეკლარაციის წარუდგენლობა ან ცრუ დეკლარირება

ასეთი ტიპის გადაცდომას იცნობს ალბანეთის, ესპანეთის, ხორვატიის კანონმდებლობა.

კერძოდ, ალბანეთის კანონმდებლობით ეს არის "მოსამართლის მიერ დეკლარაციის წარუდგენლობა ან უარი ქონების დეკლარირებაზე ან ქონების დამალვა ან ცრუ დეკლარირება"²⁰.

ესპანეთის კანონმდებლობით ეს არის „ცრუ ინფორმაციის მიწოდება შვებულების თაობაზე განცხადებებში, ნებართვებში, შესაბამისობის, ხარჯებისა და ფინანსური დახმარების შესახებ დეკლარაციებში“ (ესპანეთი).

ხორვატიის კანონმდებლობით ეს არის: „ქონების დეკლარაციის შეუვსებლობა ან დეკლარაციაში განზრახ არასწორი ინფორმაციის წარმოდგენა“.

2.16. ცრუ ინფორმაციის შეტანა ოფიციალურ დოკუმენტებში

²⁰ საინტერესოა, რომ მსგავს ნორმას შეიცავდა რუმინეთის 2009 წლის კანონი მოსამართლისა და პროკურორის სტატუსის შესახებ, თუმცა ის დღეს კანონში აღარ გვხვდება (ქონებისა და ინტერესების დეკლარირების მარეგულირებელი ნორმების დარღვევა).

ამ ტიპის გადაცდომებში მოიაზრება „ცრუ ინფორმაციის მიწოდება შვებულების თაობაზე განცხადებებში, ნებართვებში, შესაბამისობის, ხარჯებისა და ფინანსური დახმარების შესახებ დეკლარაციებში“ (ესპანეთი), ასევე, „სამუშაოს დაწყების მიზნით განცხადების შეტანისას, სადისციპლინო საქმეებზე, დანინაურების ან კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებული საკითხების ან ნებისმიერი სხვა საკითხის განხილვისას, რომელიც უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას ექვემდებარება, განზრახ ყალბი, მცდარი ან არასაკმარისი ინფორმაციის მიწოდება“ (ბოსნია).

2.17. კანონით აკრძალული საჯარო განცხადებები

ასეთი განცხადებები შეიძლება გაკეთდეს: 1. სასამართლოში განსახილველ საქმესთან დაკავშირებული და 2. სხვა ტიპის განცხადებები.

პირველ კატეგორიას რაც შეეხება, ზოგიერთ ქვეყანაში დასჯადია განსახილველ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი კომენტარი (მაგ. ალბანეთი), ხოლო ზოგან იმ შემთხვევაში თუ ეს ზეგავლენას ახდენს პროცესზე ან ხელს უშლის საქმის სამართლიან განხილვას (ბოსნია) ან კეთდება დადგენილი წესების დარღვევით (სერბეთი).

რაც შეეხება საქმესთან დაუკავშირებელ განცხადებებს საინტერესოა მაგ. ესპანეთის ჩანანერი, რომლითაც დასჯადია სხვა ოფიციალური უწყებების, ხელისუფლების ორგანოების, ან საჯარო მოსამსახურეთა ან კორპორაციების შექება ან გაკრიტიკება მათი ქმედებებისათვის საკუთარი სამოსამართლო სტატუსის მოხსენიებით ან გამოყენებით.

2.18. კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება

ალბანეთის კანონმდებლობით დასჯადია "ნებისმიერი საჩუქრის, სერვისის, დაპირების, ან შეღავათიანი მოპყრობის მიღება სამოსამართლო ვალდებულების შესრულების გამო"²¹, ხოლო ბოსნიის კანონმდებლობით დასჯადია "მოსამართლის მიერ საჩუქრის ან სხვა ანაზღაურების მიღება, რომლის მიზანია მის გადაწყვეტილებებზე ან მოქმედებებზე არაჯეროვანი ზეგავლენის მოხდენა, მაშინაც კი, როდესაც საჩუქარი ან ანაზღაურება ქმნის არაჯეროვანი ზეგავლენის შთაბეჭდილებას".

2.19. თანამდებობის გამოყენება არამართლზომიერი უპირატესობის მოსაპოვებლად

ამ ტიპის გადაცდომას მიეკუთვნება მოსამართლის მიერ თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენება შეღავათიანი მოპყრობის (ესპანეთი) ან დაუსაბუთებელი სარგებლის მოსაპოვებლად (ბოსნია) ან განცხადებების განხილვის დროს საკუთარი ან ოჯახის წევრის ან სხვა პირების პერსონალური მოთხოვნის დაყენება სამართლებრივად დადგენილი პროცედურების გარეშე (ესპანეთი).

2.20. სამსახურში გამოუცხადებლობა ან შრომის დისციპლინის სხვაგვარი დარღვევა

²¹ მსგავსი ჩანანერი გვხვდება მაკედონიის კანონმდებლობაშიც „ქონების დეკლარაციის შეუვსებლობა ან დეკლარაციაში განზრახ არასწორი ინფორმაციის წარმოდგენა“.

სამსახურის გაცდენა ან სამსახურის მიტოვება, როგორც წესი, არ ითვლება დისციპლინურ გადაცდომად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ხორციელდება დადგენილი წესების მიმედევით (მაკედონია) ზედიზედ რამდენიმე დღის განმავლობაში (ესპანეთი, ალბანეთი), არასაპატიო მიზეზით (ესპანეთი, ალბანეთი, რუმინეთი), განმეორებითი (რუმინეთი), ან რომელმაც გამოიწვია ან შეიძლო გამოიწვია მხარეთა კონსტიტუციური უფლებების ან მართლმსაჯულების ინტერესის ხელყოფა (ალბანეთი).

შრომის დისციპლინის დარღვევის საინტერესო მაგალითს იძლევა იტალიის კანონი, რომლის თანახმად დასჯადია "მოქმედი ნორმებით დადგენილი წინასწარი ნებართვის გარეშე იმ ოლქში ცხოვრების მოვალეობის დარღვევა, სადაც მაგისტრატს აქვს ოფისი, თუ ამან კონკრეტულად გამოიწვია გულმოდგინებისა და შრომისმოყვარეობის ვალდებულების დარღვევა".

2.21. დისციპლინური ორგანოს საქმიანობის ხელის შეშლა/ დისციპლინური გადაცდომის განუცხადებლობა

გადაცდომის ეს სახე მიმართულია დისციპლინური მართლმსაჯულების წინააღმდეგ. ესენია:

სასამართლო ინსპექციის საქმიანობის ხელის შეშლა (ესპანეთი, ალბანეთი), დისციპლინური სანქციის აღსრულებაზე უარი (ალბანეთი), დისციპლინური სამართალწარმოების დროს დასმულ შეკითხვაზე თავის არიდება ლეგიტიმური საფუძვლების გარეშე (ბოსნია), უწყებრივად ქვემდებარე კოლეგების ან სასამართლო აპარატის მხრიდან ჩადენილი დისციპლინური სამართალდარღვევის რეაგირების გარეშე დატოვება (იტალია, ესპანეთი).

2.22. საგანმანათლებლო ვალდებულების თავის არიდება

გადაცდომის ასეთი სახე აქვს ბოსნიას და მაკედონიას, სადაც დასჯადია სავალდებულო პროფესიული გადამზადების კურსებისთვის თავის არიდება.

მაკედონიაში, ასევე, დისციპლინური გადაცდომის სახეა ვალდებულებებისა და მოსამართლის თანამშენებლობის პროფესიული ტრენინგის განუხორციელებლობა.

2.23. მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედება

მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში გვხვდება ზოგადი აკრძალვა, რომელიც მოიცავს მოსამართლისთვის შეუფერებელ ყველა იმ ქმედებას, რომელიც არ არის მოცული სხვა უფრო კონკრეტული ფორმულირებით.

ასეთია მაგ. „ყველა სხვა ქმედება, რომელიც სერიოზულ ზიანს აყენებს მოსამართლის თანამდებობას და რეპუტაციას (ალბანეთი)“; „ნებისმიერი ქმედება რომელიც ხელყოფს სასამართლოს პრესტიჟს (ბულგარეთი)“; „უნესო და ულირსი ქცევა ჩადენილი საზოგადოების თვალწინ (მაკედონია)“; „მოსამართლის ავტორიტეტისა და სასამართლოს ავტორიტეტის სხვაგვარი ხელყოფა“ (ხორვატია)“; „სასამართლოში ან სასამართლოს გარეთ ჩადენილი ნებისმიერი ქმედება, რომელიც ხელყოფს სასამართლოს პრესტიჟს (ბოსნია)“.

მოსამართლისთვის შეუფერებელი ქცევის უფრო კონკრეტული სახეები გვხვდება მაკედონიისა და რუმინეთის კანონმდებლობაში.

მაკედონიაში ეს არის „საზოგადოებრივი სიმშვიდისა და წესრიგის უხეში დარღვევა, რომელიც ზიანს აყენებს მოსამართლის რეპუტაციასა და სასამართლო პრესტიჟს“, ხოლო რუმინეთში - პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობა "პირამიდის" ტიპის თამაშებში, აზარტულ თამაშებში, ან საინვესტიციო სისტემებში, რომლის სახსრების გამჭვირვალობა არ არის უზრუნველყოფილი კანონის შესაბამისად.

2.24. ეთიკის კოდექსის დარღვევა

ეთიკის კოდექსის დარღვევას, როგორც დისციპლინურ გადაცდომის სახეს იცნობს ბულგარეთის, მაკედონიისა და კოსოვოს კანონმდებლობა. ამასთან ბულგარეთსა და კოსოვოში დასჯადია მხოლოდ ეთიკის კოდექსის ან ეთიკის წესების დარღვევა, ხოლო მაკედონიის კანონმდებლობით დასჯადია *მოსამართლეთა ქცევის კოდექსის წესების უხეში დარღვევა, რაც ზიანს აყენებს სასამართლოს პრესტიჟს.*

2.25. სხვადასხვა

შესწავლილი ქვეყნების კანონმდებლობა, ასევე, იცნობს დისციპლინური გადაცდომების ნაირსახეობას, რომელიც არ ექცევა რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიაში, ესენია:

- ადგილობრივ ორგანოებთან სერიოზული კონფლიქტის განმეორებითი პროვოცირება მოსამართლის სამოსამართლო საქმიანობასთან დაკავშირებით, სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების გარდა სხვა საფუძვლით (ესპანეთი);
- დაგეგმილი შედეგების მიუღწევლობა სამსახურში ზედიზედ 8 თვის განმავლობაში საპატიო მიზეზის გარეშე (მაკედონია);
- სასამართლოთა შორის ურთიერთობებში სერიოზული დაბრკოლებების შექმნა, რომელიც მნიშვნელოვნად შეაფერხებს სასამართლოს გამართულ მუშაობას (მაკედონია);
- მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოსთვის არასრული ან არასწორი სახით იმ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც აუცილებელია ამ ორგანოს ფუნქციონირებისათვის და გადაწყვეტილების მისაღებად (სერბეთი);
- სასამართლოს საქმიანობის ხელის შეშლა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სასამართლოს ამოცანების შესრულებაზე (ხორვატია);
- საპატიო მიზეზის გარეშე მართლმსაჯულების საბჭოს გადაწყვეტილებების, ბრძანებების ან მოთხოვნების შეუსრულებლობა (ბოსნია);
- სხვა სასამართლოში დროებითი მივლინების გადაწყვეტილების შესრულებისთვის თავის არიდება (ბოსნია);

საინტერესოა ზოგ ქვეყნებში დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთი სახეა მოსამართლის მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა²², რისთვისაც მოსამართლე პასუხს აგებს, როგორც სისხლის სამართლებრივი, ასევე, დისციპლინური წესით.

²² ბოსნიის (66 (მ) მუხლი), კოსოვოს (მუხ. 34 (1.1.)), ბულგარეთის კანონის 307 (7) მუხლი.

ესპანეთის კანონის 415-ე მუხლი ეძღვნება სისხლისსამართლებრივი და დისციპლინური პასუხისმგებლობის გამიჯვნას. მისი ბოლო ნაწილი ამბობს, რომ ერთი და იგივე ქმედებისთვის მოსამართლეს სისხლისსამართლებრივი და დისციპლინური პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს თუ არაიგივეობრივია სამართლებრივი საფუძველი და სამართლებრივად დაცული ინტერესი, რომლის დარღვევასაც ეფუძვნება სასჯელი.

საინტერესოა აგებს თუ არა პასუხს მოსამართლე სამსახურის დაკავებამდე ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისთვის? ამგვარ ჩანაწერს შეიცავს პოლონეთის კანონის 107-ე მუხლი, რომლის მე-2 მუხლით მოსამართლე ასევე აგებს პასუხს მის დანიშვნამდე ჩადენილი ქმედებისთვის, რომლითაც მან დაარღვია საჯარო მოხელის ვალდებულებები ან რომელთა გამო ის არ იმსახურებს სამოსამართლო თანამდებობას.

პოლონეთის კანონმდებლობა, ასევე ითვალისწინებს დარღვევის მცირე მნიშვნელობის გამო დისციპლინური სახდელისგან მოსამართლის გათავისუფლებას (მუხ. 109 -5).

3. დისციპლინური სახდელები

დისციპლინურ სახდელებზე საუბრისას მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან განვასხვაოთ ე.წ. „მორალური“, ფინანსური და სამოსამართლო კარიერასთან (უფლებამოსილების განხორციელებასთან) დაკავშირებული სანქციები.

3.1. „მორალური სანქციები“

ყველა ქვეყანას აქვს გათვალისწინებული ისეთი სანქცია, რითაც ხდება მხოლოდ მოსამართლის ქმედების ნეგატიური შეფასება, სხვა მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგების გარეშე.

ასეთი სანქციები სხვადასხვა ტერმინებით გამოიხატება - შენიშვნა, საყვედური, გაფრთხილება თუ გაკიცხვა. ზოგიერთ ქვეყანას აქვს ერთდროულად რამდენიმე ასეთი სანქცია, თუმცა მათ შორის განსხვავება არ არის განმარტებული. ამ მხრივ გამონაკლისია იტალიის კანონი, რომელიც განმარტავს განსხვავებას შენიშვნას და საყვედურს შორის.

იტალიის კანონის მე-6 მუხლით, შენიშვნა ეს არის მაგისტრატის მოწოდება მისი მოვალეობის შესრულებისკენ, ხოლო კანონის მე-7 მუხლით, საყვედური ეს არის მაგისტრატის ფორმალური გაკიცხვა, რომელიც მოცემულია დისციპლინური გადაწყვეტილების სახით.

ზოგიერთი სისტემა როგორცაა მაგ. მაკედონია და სერბეთი იცნობს მორალური სანქციის სპეციფიურ სახეს: საჯარო საყვედურს, რომელიც იმით განსხვავდება სხვა სანქციებისგან, რომ ის საჯაროდ ცხადდება.

საინტერესოა ის, რომ არც ერთი განხილული სამართლებრივი სისტემა არ იცნობს განსხვავებას დისციპლინურ სახდელსა და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას შორის, რომელიც არსებობს ქართულ კანონმდებლობაში.

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ გადაცდომათა ერთობლიობის დრო, როგორც წესი, მოსამართლეს შეეფარდება მხოლოდ ერთი სახდელი. ამ წესიდან გამონაკლისი გვხვდება იტალიის კანონმდებლობაში, სადაც გადაცდომათა ერთობლიობის დროს, როცა გამოიყენება რამოდენიმე

სხვადასხვა სიმძიმის სახდელი, საბოლოოდ პირს შეეთარდება მათ შორის ყველაზე მძიმე, ხოლო ერთნაირი სახდელების შემთხვევაში - ერთი საფეხურით უფრო მძიმე სახდელი (მუხ. 5).

3.2. ფინანსური სახდელები

განხილული სისტემების უმრავლესობა იცნობს ფინანსურ სანქციებს, რომელიც შეიძლება იყოს ჯარიმა (გერმანია, ესპანეთი) ან ხელფასიდან დაქვითვა (ბოსნია, ბულგარეთი, მაკედონია, მონტენეგრო, კოსოვო, რუმინეთი, სერბეთი, ხორვატია).

კანონი ითვალისწინებს ჯარიმის მაქსიმალურ ოდენობას: მაგალითად, გერმანიაში ეს არის ერთი თვის ხელფასი, ხოლო ესპანეთში 6000 ევრო.

რაც შეეხება ხელფასიდან დაქვითვას, კანონი ადგენს ჩარჩოებს როგორც ვადის, ასევე, დასაქვითი პროცენტის თვალსაზრისით. ამ მხრივ შედარებით მკაცრია ბოსნიისა და სერბეთის კანონი, რომელიც ითვალისწინებს ხელფასის დაქვითვას 1 წლამდე ვადით, 50%-მდე ოდენობით. ხოლო შედარებით ლმობიერია რუმინეთის კანონი, რომელიც ითვალისწინებს ხელფასის დაქვითვას 1 თვიდან 6 თვემდე ვადით 20%-მდე ოდენობით. სხვა ქვეყნებს შუალედური ადგილი უჭირავთ მათ შორის.

3.3. სამსახურებრივ შეზღუდვასთან დაკავშირებული სანქციები

ამ ჯგუფში მოიაზრება სანქციები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსამართლის უფლებამოსილებებზე ან მის კარიერაზე, ასეთია მაგალითად, სხვა სასამართლოში გადაყვანა (ბოსნია, ალბანეთი²³, გერმანია, ესპანეთი²⁴), რანგის დაქვითვა (ბულგარეთი), სამუშაო სტაჟის შემცირება (იტალია), დანინაურერების შეზღუდვა გარკვეული ვადით (სერბეთი), თავმჯდომარის ან ზოგადად, ხელმძღვანელი თანამდებობიდან გათავისუფლება (მაგ. იტალია, ბოსნია), უფლებამოსილების შეჩერება (ესპანეთი, ნიდერლანდები) და ბოლოს სამსახურიდან დათხოვნა.

ზოგიერთ ქვეყნებში, როგორცაა მაგალითად კოსოვო, მაკედონია, საფრანგეთი სამოსამართლო უფლებამოსილების შეჩერება არის არა დისციპლინური სახდელის სახე, არამედ დროებითი პროცესუალური ღონისძიება, რომლის გამოყენება შეუძლია პროცესის მწარმოებელ ორგანოს დისციპლინური საქმის დასრულებამდე. საფრანგეთში უფლებამოსილების შეჩერება არის კონფიდენციალური (არასაჯარო ღონისძიება) და არ იწვევს მოსამართლის ხელფასის შეწყვეტას.

3.4. გარემოებები, რომლებიც მხედველობაში მიიღება დისციპლინური სანქციების შეფარდებისას

მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა საგანგებოდ ადგენს იმ გარემოებების ჩამონათვალს, რომლებიც მხედველობაში მიიღება დისციპლინური სახდელის შერჩევისას. ეს სია საკმაოდ თვართოა: დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე, გადაცდომების რაოდენობა (ბოსნია, მაკედონია), ბრალის ფორმა (ბულგარეთი), გადაცდომის შედეგები (ბოსნია, მაკედონია), ზიანი, რომელიც მიადგა სასამართლოს რეპუტაციას (გერმანია), გარემოებები, რომლებშიც ქმედება იქნა ჩადენილი (ბოსნია,

²³ ალბანეთის კანონით ეს უნდა იყოს უფრო დაბალი ინსტანციის სასამართლო, ან სხვა ტერიტორიაზე მყოფი სასამართლო (ალბანეთის კანონი, მუხ. 33)

²⁴ ესპანეთის კანონმდებლობით ეს სასამართლო უნდა იყოს 100 კმ-ით მოშორებული მოსამართლის მოქმედი რეზიდენციიდან

ბულგარეთი, მაკედონია, ხორვატია), გადაცდომის ხანგრძლივობა (გერმანია), მოსამართლის პიროვნული მახასიათებლები (გერმანია), მოსამართლის წარსული შრომითი სამსახურებრივი საქმიანობა და მიღწევები (ბოსნია), მოსამართლის მიერ საკუთარი ქმედების შეგნება და პასუხისმგებლობის განცდა (ბოსნია, გერმანია), დისციპლინური საქმის განხილველ ორგანოებთან თანამშრომლობა (ბოსნია), სხვა გარემოებები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიონ სახდელზე (ბოსნია, ხორვატია).

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ასევე ადგენს თუ რა სახის სახდელები შეიძლება იქნას გამოყენებული ამა თუ იმ სიმძიმის გადაცდომის ჩადენისას. მაგალითად, ესპანეთის კანონმდებლობა რომელიც ერთმანეთისგან ანსხვავებს გადაცდომების 3 (მსუბუქი, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე) კატეგორიას, მიუთითებს, რომ მსუბუქი და მძიმე დარღვევები ისჯება გაფრთხილებით ან ჯარიმით, ხოლო გამსაკუთრებით მძიმე დარღვევები - უფლებამოსილების შეჩერებით, იძულებითი მივლინებით ან სამსახურიდან გათავისუფლებით.

ბოსნიის კანონპროექტით, მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ მძიმე დარღვევისას, როდესაც დადგინდება მძიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენა და მისი სიმძიმე მკაფიოდ ადასტურებს, რომ მოსამართლე არ შეესაბამება ან არ არის ღირსი იკავებდეს მოცემულ თანამდებობას²⁵.

4. დისციპლინური პროცესი

დისციპლინური პროცესი მოიცავს ყველა ეტაპს დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებიდან დისციპლინური გადაწყვეტილების აღსრულებამდე (დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებას, დისციპლინური საქმის მოკვლევას, არსებით განხილვას, გასაჩივრებასა და გადაწყვეტილების აღსრულებას); განხილული ქვეყნების კანონმდებლობაში თითოეული ეს საკითხი მეტნაკლები დეტალურობით არის დარეგულირებული. ასევე, მნიშვნელოვანია საკითხი თუ რომელი ორგანო ასრულებს თითოეულ ამ ფუნქციას, როგორ არიან ისინი დაკომპლექტებული და რა უფლებამოსილებები გააჩნიათ მათ. საკითხის განხილვას დაეწინაურებთ იუსტიციის საბჭოს როლით დისციპლინურ პროცესში.

4.1. იუსტიციის საბჭოს როლი დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში

განხილულ ქვეყნებში, ცალკეული გამონაკლისების გარდა (გერმანია, დიდი ბრიტანეთი და ნიდერლანდები) სასამართლო ხელისუფლების მმართველ ორგანოს წარმოადგენს იუსტიციის (მართლმსაჯულების, სასამართლოს) უმაღლესი საბჭო, რომლის ძირითად ფუნქციებში შედის მოსამართლეების დანიშვნა, დანიშნულება გათავისუფლება, ზოგადად სასამართლო სისტემის ადმინისტრირება და სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.

საბჭოს დაკომპლექტების წესი განსხვავებულია ამა თუ იმ ქვეყნის მიხედვით, თუმცა მის შემადგენლობაში ყველგან უმრავლესობაში არიან თავად მოსამართლეები (მაგისტრატები²⁶), რაც წარმოადგენს საერთო ევროპულ სტანდარტს.²⁷

²⁵ ბოსნიის კანონპროექტი, მუხ. 69 (2)

²⁶ ზოგ ქვეყანაში, სადაც შესაბამისად, ხელისუფლების მმართველი ორგანოა მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო ტერმინი „მაგისტრატ“ ასევე მოიცავს პროკურორსაც (საფრანგეთი, იტალია, ბოსნია, ბულგარეთი).

წევრთა რაოდენობა მერყეობს 10-დან (მონტენეგრო) 23-მდე (პოლონეთი). რიგ ქვეყნებში საბჭოში, ასევე, აირჩევიან ადვოკატები (ესპანეთი, ხორვატია, სერბია, ბოსნია, იტალია, კოსოვო), სამართლის პროფესორები (ხორვატია, ბოსნია, ბულგარეთი, იტალია), პარლამენტის წევრები (პოლონეთი), იურისტები (რუმინეთი). ქვეყნების მნიშვნელოვან ნაწილში არჩეულ წევრებთან ერთად საბჭოს შემადგენლობაში შედიან ექს ოფისიო წევრებიც²⁸.

ზოგიერთ ქვეყანაში საბჭოს მთელ შემადგენლობას ირჩევს პარლამენტი (ესპანეთი, სერბია, ხორვატია) სხვადასხვა პროფესიული ორგანიზაციების წარდგინებით, თუმცა განხილული სისტემების უმრავლესობაში პარლამენტი ირჩევს მხოლოდ არამოსამართლე წევრებს, ხოლო მოსამართლე წევრებს ირჩევენ თავად მოსამართლეები.

ზოგიერთ ქვეყანაში საბჭოს შემადგენლობაში თავისი წარმომადგენელი ჰყავს აღმასრულებელ ხელისუფლებასაც (ბოსნია, მაკედონია, პოლონეთი, მონტენეგრო).

ყველგან, სადაც კი არსებობს მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭო, მას გარკვეული როლი ეკისრება დისციპლინური საქმისწარმოების პროცესში. ეს შეიძლება იყოს დისციპლინური საქმის მოკვლევის მოთხოვნა (პოლონეთი), დისციპლინური საქმის წინასწარი მოკვლევა (საფრანგეთი), არსებითი განხილვა (ალბანეთი, კოსოვო, ბულგარეთი, ესპანეთი, იტალია, მონტენეგრო, რუმინეთი, საფრანგეთი, ხორვატია²⁹) ან დისციპლინური საჩივრის განხილვა მეორე ინსტანციით (ბოსნია, მონტენეგრო, კოსოვო, სერბია).

4.2. დისციპლინური საქმის წინასწარი მოკვლევა

4.2.1. გამიჯნა სამართალწარმოების დაწყებასა და მოკვლევას შორის

ზოგ ქვეყანაში დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებას და საქმის წინასწარ მოკვლევას ერთი და იგივე ორგანო ან თანამდებობის პირი ახორციელებს. მაგალითად, ბოსნიაში ეს არის დისციპლინური პროკურორი³⁰. ქვეყნების მნიშვნელოვან ნაწილში სამართალწარმოებას იწყებს ერთი ორგანო (თანამდებობის პირი), ხოლო წინასწარ მოკვლევას ახორციელებს სხვა, მასზე დაქვემდებარებული ან მისგან დამოუკიდებელი ორგანო ან თანამდებობის პირი. მაგ. სამართალწარმოების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს ლორდ კანცლერს დიდ ბრიტანეთში, იუსტიციის მინისტრს საფრანგეთში, სასამართლოს თავმჯდომარეებს ან იუსტიციის სამინისტროს გერმანიაში. ამ მხრივ საინტერესოა ასევე პოლონეთის მაგალითი, სადაც დისციპლინური საქმეების მოკვლევასა და დევნას აწარმოებს დისციპლინური კომისიონერი,

²⁷ რაც წარმოადგენს საერთო ევროპულ სტანდარტს. იხ. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია **Recommendation CM/Rec(2010)12 par. 27.** "Not less than half the members of such councils should be judges chosen by their peers from all levels of the judiciary and with respect for pluralism inside the judiciary".

²⁸ ექს ოფისიო წევრებია: რესპუბლიკის პრეზიდენტი (საფრანგეთი, ალბანეთი, იტალია), საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარე (მონტენეგრო, ალბანეთი, სერბია, მაკედონია, იტალია, პოლონეთი, რუმინეთი), იუსტიციის მინისტრი (მონტენეგრო, ალბანეთი, სერბია, მაკედონია, პოლონეთი), პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარე (სერბია), გენერალური პროკურორი (რუმინეთი).

²⁹ ზოგ ქვეყანაში არსებითად საქმეს იხილავს საბჭოს სადისციპლინო კოლეგია, თუმცა გადაწყვეტილებას ამტკიცებს საბჭო ან საჩივრდება საბჭოში (ბულგარეთი, ესპანეთი, იტალია, კოსოვო, მონტენეგრო).

³⁰ ბოსნიის კანონი, მუხ. 72

რომელსაც 4 წლის ვადით ირჩევენ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები³¹ (იგივე წესით აირჩევა მისი მოადგილეები). დისციპლინურ კომისიონერს უფლება აქვს დისციპლინური საქმეები აღძრას როგორც თავისი ინიციატივით, ასევე სასამართლოების ეროვნული საბჭოს, უზენაესი სასამართლოს სააპელაციო (საოლქო სასამართლოების) თავმჯდომარეების ან სააპელაციო სასამართლოს ბორდის შუამდგომლობით. მათვე შეუძლიათ გაასაჩივრონ კომისიონერის მიერ დისციპლინური დევნის შეწყვეტა. მოქალაქეებს უფლება აქვთ საჩივრით მიმართონ არა უშუალოდ დისციპლინურ კომისიონერს, არამედ ზემოთჩამოთვლილ თანამდებობის პირებს.

4.2.2. გამიჯვნა დისციპლინური საქმის გამოკვლევას და არსებით განხილვას შორის

სხვადასხვა სისტემების მიმოხილვა მონიშნავს, რომ დისციპლინური სამართალწარმოება ხორციელდება 2 ძირითად სტადიად: წინასწარი მოკვლევა (გამოძიება) და არსებითი განხილვა. თუმცა ზოგ ქვეყნებში ეს განსხვავება ასეთი თვალსაჩინო არ არის. მაგალითად, ინგლისში საქმის არსებითი განხილვის სტადია გამოკვეთილი არ არის. აქ დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას მოკვლეული მასალების საფუძველზე ლორდი კანცლერი და ლორდი მთავარი მოსამართლე იღებენ.

განხილული ქვეყნების დიდ უმრავლესობაში საქმის გამოძიების და არსებითი განხილვის ფუნქციები გამიჯნულია და მათ სხვადასხვა ორგანოები ახორციელებენ (ე.წ.2-საფეხურიანი სისტემა). თუმცა ზოგ ქვეყანაში მოქმედებს მოდელი, სადაც ერთი ორგანო იძიებს საქმეს და ასევე იხილავს მას არსებითად.

მაგალითად, ასეთი ქვეყანაა მაკედონია, სადაც მართლმსაჯულების საბჭოს 5-კაციანი კოლეგია მტკიცებულებებს აგროვებს საქმის არსებით განხილვამდე და განხილვის დროსაც. ამის შემდეგ, კოლეგია წინადადებით მიმართავს საბჭოს საქმის წარმოების გაგრძელების ან შეწყვეტის თაობაზე. საბჭოს დასტურის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში კოლეგია არსებითად იხილავს საქმეს. საქმის განხილვის შედეგად კოლეგია საბჭოს მიმართავს წინადადებით დისციპლინური დევნის შეწყვეტის ან პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე.

4.2.3. დისციპლინური საქმის კოლეგიური და ერთპიროვნული გამოკვლევა

განსახილველი ქვეყნების უმრავლესობაში დისციპლინური საქმის წინასწარ შესწავლას (მოკვლევას) ერთი კონკრეტული თანამდებობის პირი აწარმოებს (პროკურორი, ინსპექტორი, გამომძიებელი მოსამართლე და სხვ). თუმცა ასევე გვხვდება მოდელი, როდესაც საქმის მოკვლევას კოლექტიური ორგანო აწარმოებს. მაგალითად, ხორვატიაში, სადაც საქმეს იკვლევს სასამართლო საბჭოს მიერ დანიშნული სადისციპლინო კომიტეტი, რომელიც შედგება 3 სხვადასხვა წევრისგან, რომელთაგან ერთი მაინც უნდა იყოს მოსამართლე.

4.2.4. დისციპლინური საქმის მოკვლევა მოსამართლის ან არამოსამართლის მიერ

იმ ქვეყნებში, სადაც დისციპლინური საქმის წინასწარ მოკვლევა ერთი თანამდებობის პირს (და არა კოლექტიურ ორგანოს) ევალება, გვხვდება ორი სხვადასხვა მოდელი: ეს პირი არის ან მოსამართლე ან არამოსამართლე.

³¹ პოლონეთის კანონი, მუხ.(მუხ. 112)

მოსამართლის მიერ მოკვლევა ხორციელდება ისეთ ქვეყნებში, როგორცაა დიდი ბრიტანეთი (თუმცა ამავე ქვეყანას აქვს მეორე მოდელიც, სადაც მოკვლევას ახორციელებს დისციპლინური სამსახური), გერმანია, ესპანეთი, სერბეთი, პოლონეთი.

მონტენეგროში დისციპლინურ საჩივარზე მოკვლევას ატარებს შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც თავის დასკვნას უგზავნის სადისციპლინო კომისიას.

ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ბოსნია, რუმინეთი, კოსოვო, მოკვლევას ახორციელებს ამ მიზნით სპეციალურად კონკურსით შერჩეული პირი (ბოსნიაში და კოსოვოში დისციპლინური პროკურორი, ხოლო რუმინეთში ინსპექტორი), რომელსაც ჰყავს მოადგილეები, ან რომელიც ხელმძღვანელობს მთლიან სამსახურს.

4.2.5. საგამოძიებო უფლებამოსილებები დისციპლინური საქმის მოკვლევისას

საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დეტალურ რეგლამენტაციას ჩვენთვის ცნობილი არც ერთი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ესპანეთის კანონის 425-ე მუხლით გამოძიებელ მოსამართლეს შეუძლია შეაგროვოს მტკიცებულებები და ჩაატაროს ყველა ის მოქმედება, რასაც ჩათვლის საჭიროდ. ასევე საინტერესოა ის, რომ ესპანეთში სანქციის შემფარდებელ ორგანოს შეუძლია გამოძიებელ მოსამართლეს საქმე უკან დაუბრუნოს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად³².

ბოსნიაში დისციპლინურ პროკურორს უფლება აქვს გამოითხოვოს ონფორმაცია სასამართლოებიდან და თუ მას ამ ინფორმაციას არ აძლევენ მიმართოს კომისიას თხოვნით, რომ დაავალდებულოს შესაბამისი ორგანო.

სერბეთის კანონმდებლობით პროკურორს აქვს უფლება მოთხოვოს მოსამართლეს ახსნა განმარტება, რომლის მიცემაც არ არის სავალდებულო³³.

საინტერესოა ასევე საკითხი, თუ რა შეიძლება იყოს დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საბაბი.

ბოსნიის კანონმდებლობით, დისციპლინურ პროკურორს შეუძლია მოკვლევა დაიწყოს, როგორც საკუთარი ინიციატივით, ასევე საჩივრის საფუძველზე³⁴.

სერბეთის კანონმდებლობით, დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების საბაბი შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქის განცხადება, რომელიც წარედგინება დისციპლინურ პროკურორს დადგენილი ფორმით³⁵. ხარვეზიანი განცხადება უბრუნდება საჩივრის ავტორს ხარვეზის შესავსებად.

საინტერესოა ასევე ის, რომ პოლონეთში სამართალწარმოება შეიძლება დაიწყოს სასამართლოების შემოწმების საფუძველზე, რომელიც ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ხორციელდება.

³² ესპანეთის კანონი მუხ. (მუხ. 25-5).

³³ წესები, მუხ. 21

³⁴ მუხ. 72 (2) მსგავს ჩანაწერს შეიცავს კოსოვოს კანონმდებლობა

³⁵ მუხ. 19.

მონტენეგროში მოქალაქის განცხადება შეიძლება ასევე იყოს ანონიმური³⁶, ხოლო მეორეს მხრივ მოსამართლის განზრახ ცრუ დასმენა დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში ისჯება სისხლის სამართლის კანონით. ამ შემთხვევაში სასამართლოს თავმჯდომარე მასალებს უგზავნის პროკურორს³⁷.

მრავალ ქვეყანაში დისციპლინური საქმის მწარმოებელ ორგანოებს უფლება აქვთ მოსამართლეს შეუჩერონ უფლებამოსილება დისციპლინური საქმის დასრულებამდე³⁸.

4.3. დისციპლინური საქმის არსებითი განხილვა

4.3.1. დისციპლინური საქმის არსებითად განხილველი ორგანოები

დისციპლინური საქმის არსებით განხილვა მოიცავს მტკიცებულებათა ზეპირ გამოკვლევას მხარეთა თანდასწრებით, მხარეთა პოზიციების მოსმენას და დისციპლინური სახდელის დაკისრებას.

განხილულ ქვეყნებში საქმეს არსებითად იხილავს ან 1. მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭო ან 2. მის გარეთ მდგომი ორგანო.

პირველ ჯგუფს მიკუთვნებულ ქვეყნებში საქმეს იხილავს მართლმსაჯულების საბჭო სრული შემადგენლობით (ხორვატია) ან მისი სადისციპლინო კოლეგია (ბულგარეთი, ესპანეთი, მაკედონია, კოსოვო, რუმინეთი, საფრანგეთი).

იმ ქვეყნებში, სადაც საქმეს იხილავს საბჭოს გარეთ მდგომი კოლეგიური ორგანო, ამ ორგანოს წევრები ძირითადად არიან მხოლოდ მოსამართლეები, რომლებსაც შეარჩევს მართლმსაჯულების საბჭო (ბოსნია, სერბეთი) ან ირჩევენ თავად მოსამართლეები (პოლონეთი). სპეციფიური მოდელი მოქმედებს გერმანიაში, სადაც მოსამართლეთა სადისციპლინო საქმეებს იხილავს სამსახურებრივი სასამართლო (Amtgericht). თავისებური სისტემა მოქმედებს ინგლისში, სადაც შეიძლება ითქვას, რომ საქმის არსებითად განხილველი ორგანო არც არსებობს და მოკვლევის ორგანოს რეკომენდაციის საფუძველზე სახდელს აკისრებს ლორდი კანცლერი. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ბულგარეთი, გერმანია, ესპანეთი, მსუბუქი დისციპლინური სახდელის (შენიშვნა, გაფრთხილება) დაკისრების უფლებამოსილება სასამართლოს თავმჯდომარესაც გააჩნია.

4.3.2. დისციპლინური საქმის არსებითი განხილვის თავისებურებები; გადაწყვეტილების გამოტანა საქმის არსებითი განხილვის გარეშე; გადაწყვეტილებათა გამოქვეყნება

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა მეტნაკლები დეტალურობით არეგულირებს დისციპლინური საქმის არსებითი განხილვის პროცესს, რომელიც მოიცავს მტკიცებულებათა ზეპირ განხილვას, მხარეთა არგუმენტების მოსმენას და გადაწყვეტილების მიღებას.

საინტერესოა რომ ბოსნიის კანონპროექტი, ასევე, ითვალისწინებს გარკვეული ტიპის „საპროცესო შეთანხმებას“ ბრალდებასა და დაცვას შორის. თუმცა ეს შეთანხმება დაიშვება მხოლოდ

³⁶ წესები, მუხ. 50

³⁷ წესები, მუხ. 53

³⁸ იხ. მაგ. კოსოვოს კანონი მუხ. 34. 2, მაკედონია მუხ. 13, რუმინეთი, მუხ. 491

ბრალეულობასთან და არა დისციპლინურ სახდელთან დაკავშირებით. საპროცესო შეთანხმების შემთხვევაში საქმე არსებითად აღარ განიხილება. თუმცა სადისციპლინო კოლეგია უფლებამოსილია საპროცესო შეთანხმება არ დაამტკიცოს და მისი ეს გადაწყვეტილება არ საჩივრდება³⁹.

ბულგარეთში დისციპლინურ კოლეგიაში საქმის განხილვის დანაწევების შემდეგ დევნის ორგანოს აღარ აქვს უფლება უარი თქვას ბრალდებაზე⁴⁰.

სერბეთში პროკურორს უფლება აქვს მოხსნას ბრალდება რა შემთხვევაშიც საქმე წყდება და იგივე ბრალდების წარდგენა განმეორებით აღარ დაიშვება⁴¹. პროკურორის გამოუცხადებლობა კომისიის სხდომაზე აღიქმება, როგორც დევნაზე უარი და საქმე წყდება⁴².

მონტენეგროში ბრალდების წარმდგენს ზეპირი განხილვის დანაწევამდე აქვს უფლება გაითხოვოს საჩივარი, ხოლო ზეპირი განხილვის დანაწევების შემდეგ მხოლოდ მოსამართლის თანხმობით. ამ შემთხვევაში დისციპლინური საქმე წყდება⁴³; ამავე დროს მოსამართლეს პროცესის ნებისმიერ ეტაპზე აქვს უფლება თავი ცნოს ბრალეულად დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში, რა შემთხვევაშიც სხვა მტკიცებულებები არსებითად აღარ განიხილება, ხოლო ბრალის აღიარება მიიჩნევა შემამსუბუქებელ გარემოებად⁴⁴.

მტკიცების ტვირთზე პირდაპირი მითითება იშვიათად გვხვდება. ასეთი ჩანაწერი გვაქვს მაგ. მონტენეგროს წესებში, სადაც აღნიშნულია, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდების მხარეს⁴⁵.

კოლეგიური ორგანო, როგორც წესი, გადაწყვეტილებას მოსამართლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე იღებს ხმის უმრავლესობით⁴⁶. თუმცა მაკედონიაში გადაწყვეტილება მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საბჭოს წევრების ხმათა 2/3-ით მიიღება⁴⁷.

საქმის განხილვის საჯაროობის კუთხით იკვეთება 3 სხვადასხვა მოდელი: 1. რიგ ქვეყნებში (მაგ. ბოსნია, პოლონეთი, საფრანგეთი) საქმის განხილვა საჯაროა, თუმცა შეიძლება დაიხუროს მხოლოდ გარკვეული გარემოებების არსებობისას, როგორცაა მაგ. საჯარო წესრიგი, ან კერძო ცხოვრების საიდუმლოება, ან მართლმსაჯულების ინტერესები; 2. იტალიაში და მონტენეგროში საქმის განხილვა არის საჯარო, მაგრამ შეიძლება დაიხუროს მხარეთა მოთხოვნით⁴⁸; 3. ბულგარეთში, მაკედონიაში და კოსოვოში სადისციპლინო პროცესი მთლიანად დახურულია. მაკედონიის კანონის მე-3 მუხლით დისციპლინური სამართალწარმოების კონფიდენციალობა მიზნად ისახავს მოსამართლის ღირსებისა და რეპუტაციის დაცვას (მუხ. 3).

³⁹ ბოსნიის კანონი, მუხ. 77

⁴⁰ ბულგარეთის კანონი, მუხ. 317

⁴¹ იხ. წესები, მუხ. 24.

⁴² იხ. წესები მუხ. 25.

⁴³ წესები მუხ. 56.

⁴⁴ მონტენეგროს წესები, მუხ. 61

⁴⁵ მონტენეგრო წესები წესები მუხ. 60.

⁴⁶ სერბიის წესები, მუხ. 26; მონტენეგროს კანონი, მუხ. 63, ბულგარეთის კანონი, მუხ. 319-320, ხორვატიის კანონი, მუხ. 66 (2), გამონაკლისია მაკედონიის საბჭო, რომელიც გადაწყვეტილებას მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე იღებს ხმათა 2/3-ით (მაშინ როცა დისციპლინური სამართალწარმოების დანაწევების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით (მუხ. 11).

⁴⁷ წესები, მუხ. 26.

⁴⁸ მონტენეგრო, წესები მუხ. 59

რაც შეეხება დისციპლინურ გადაწყვეტილებათა გამოქვეყნებას, ზოგ ქვეყანაში (მაგ. პოლონეთი) ის მთლიანად ქვეყნდება, ხოლო ზოგჯერ დაშტრიხული სახით (მაგ. ნიდერლანდები, საფრანგეთი).

ინგლისში ლორდი მთავარი მოსამართლე და ლორდი კანცლერი თავად წყვეტენ გადაწყვეტილებათა პუბლიკაციის საკითხს. ბოსნიაში მოსამართლის თანხმობით შეიძლება გამოქვეყნდეს დევნის არ აღძვრის შესახებ გადაწყვეტილებაც.

4.4. ვადები

სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობის შესწავლისას ძირითადად ვაწყდებით 3 სახის ვადას: ხანდაზმულობის ვადები, სამართალწარმოების ვადები, დისციპლინური სახდელის გაქარწყლების ვადები.

4.4.1. ხანდაზმულობის ვადები

სხვადასხვა სისტემებში დისციპლინური სამართალწარმოების ხანდაზმულობის ვადა აითვლება გადაცდომის ჩადენიდან ან მისი გამოვლენიდან. ქვეყნების მნიშვნელოვან ნაწილში აპრობირებულია ორივე მოდელი.

რაც შეეხება ვადების ხანგრძლიობას, ალბანეთი, ბოსნია, მაკედონია განასახიერებენ ორ უკიდურესობას ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით. კერძოდ, მაკედონიაში დისციპლინური სამართალწარმოება არ შეიძლება დაიწყოს თუ გადაცდომის ჩადენიდან გასულია 1 წელი, ხოლო ბოსნიასა და ალბანეთში - 5 წელი. სხვა ქვეყნებს კი შუალედური პოზიცია უჭირავთ (ესპანეთში და ბულგარეთში 2 წელი, პოლონეთში 3 წელი, ხორვატიაში 2 წელი).

ხანდაზმულობის ვადები, რომლებიც აითვლება გადაცდომის გამოვლენიდან კიდევ უფრო შემჭიდროვებულია. კერძოდ მაკედონიაში, მონტენეგროში ეს ვადა არის 3 თვე, ხოლო ხორვატიაში და ბულგარეთში 6 თვე, ალბანეთში 1 წელი.

ზოგიერთ ქვეყნებში, ასევე, განერილია სახდელის დაკისრების ხანდაზმულობის ვადა. მაგალითად, მონტენეგროში ეს არის 3 წელი დისციპლინური გადაცდომის გამოვლენიდან, პოლონეთში 5 წელი დისციპლინური გადაცდომის ჩადენიდან.

4.4.2. სამართალწარმოების ვადები

თავად სამართალწარმოების ვადაზე მითითებას იშვიათად ვაწყდებით, მაგ. ბოსნიის კანონპროექტით სამართალწარმოება უნდა დასრულდეს მისი დაწყებიდან 1 წლის ვადაში.

ზოგიერთ შემთხვევაში კანონი ადგენს ვადებს საქმისწარმოების თითოეული ეტაპისათვის, იტალიის კანონმდებლობით, წინასწარი მოკვლევა უნდა დასრულდეს 1 წლის ვადაში და ასევე საქმის

არსებითი განხილვაც 1 წლის ვადაში⁴⁹. მაგ. ბულგარეთის კანონით კოლეგიამ გადაწყვეტილება უნდა შეადგინოს სხდომის ჩატარებიდან 14 დღეში⁵⁰.

4.4.3. დისციპლინური სახდელის გაქარწყლების ვადები

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა, ასევე, ითვალისწინებს დისციპლინური სახდელის გაქარწყლების ვადებს. მაგ. ბულგარეთის კანონმდებლობით სახდელი გაქარწყლებულად ითვლება მისი აღსრულებიდან 1 წლის ვადაში (თანმდებობიდან გათავისუფლების გარდა) და შესაძლებელია მისი ვადამდელი გაქარწყლებაც მოკვლევის ორგანოს ინიციატივით.

ხორვატიაში და ალბანეთში ეს ვადა არის 2-3 წელი (გადაცდომის ან სახდელის სიმძიმის მიხედვით), ხოლო პოლონეთში 5 წელი.

4.5. დაცვის უფლებები დისციპლინურ პროცესში

დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის უფლებები, ხშირად კანონის სხვადასხვა მუხლებშია მიმოხილული, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, როგორცაა სერბეთი, ბოსნია და ალბანეთი ამ საკითხს არეგულირებს კანონის ცალკე მუხლი. მაგ. ალბანეთის კანონის 35-ე მუხლით დისციპლინურ სამართალწარმოება დაქვემდებარებულ მოსამართლეს უფლება აქვს: 1. დეტალურად და გასაგებად ეცნობოს დისციპლინური ბრალდების ფაქტობრივი და სამართლებრივი მხარე, ისევე როგორც ინსპექტორი, რომელსაც დაენერა მისი საქმე; 2. წარმოადგინოს მოთხოვნები და შუამდგომლობები; 3. გაეცნოს დისციპლინურ საქმეში არსებულ მასალებს და წარმოადგინოს მტკიცებულებები; 4. ისარგებლოს ადვოკატის ან კოლეგის დახმარებით სამართალწარმოების დროს და მოსმენილ იქნას მისი თანდასწრებით.

ბოსნიის კანონპროექტით მოსამართლეს, ასევე, უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ⁵¹

თითქმის ყველა ქვეყნების კანონმდებლობა მოსამართლეს აძლევს ადვოკატის ან სხვა წარმომადგენლის აყვანის უფლებას. ზოგიერთი მათგანი ასევე ხაზს უსვამს მოსამართლის უფლებას წარმოადგინოს შეპასუხება მის წინააღმდეგ მიმართულ ბრალდებებზე (იხ. მაგ. გაერთიანებული სამეფო, მაკედონია, სერბეთი). მაგალითად, მონტენეგროში მოსამართლეს აქვს უფლება ბრალდების გადაცემიდან 8 დღეში წარმოადგინოს შეპასუხება⁵².

5. სადისციპლინო საქმეზე მიღებული არსებითი გადაწყვეტილების გასაჩივრება

⁴⁹ იტალიის კანონის მუხ. მუხლი 15.2.

⁵⁰ ბულგარეთის კანონის 319-ე მუხლის პირველი ნაწილი. მსგავსი ვადა მოქმედებს მონტენეგროში „სადისციპლინო კომისიამ წერილობითი გადაწყვეტილება უნდა შეადგინოს მიღებიდან 15 დღის ვადაში“ (წესები მუხ. 63).

⁵¹ მუხ. 76

⁵² წესები მუხ. 57

გასაჩივრების მექანიზმების შესწავლა ავლენს ერთ საინტერესო თავისებურებას: ძირითადად, იმ ქვეყნებში სადაც საქმეს არსებითად იხილავს იუსტიციის საბჭოს კოლეგია (კოსოვო, სერბეთი), ან იუსტიციის საბჭოს მიერ დაკომპლექტებული ორგანო (ბოსნია, მონტენეგრო), საჩივარს ამ ორგანოს გადანყვეტილებამდე განიხილავს თავად იუსტიციის საბჭო⁵³, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც საქმეს არსებითად იხილავს იუსტიციის საბჭოს გარეთ მდგომი ორგანო, ამ ორგანოს გადანყვეტილებები საჩივრდება სასამართლოში.

ამ ზოგადი პრინციპისგან განსხვავებული წესი არსებობს იტალიაში, მაკედონიასა და რუმინეთში, სადაც საქმეს იხილავს მართლმსაჯულების საბჭოს კოლეგია, თუმცა არსებითი გადანყვეტილება საჩივრდება უზენაეს სასამართლოში. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ მაკედონიაში საბჭოს კოლეგიის გადანყვეტილებას ამტკიცებს საბჭო.

საინტერესო მოდელს წარმოადგენს პოლონეთი, სადაც საქმეს არსებითად იხილავს მოსამართლეთა 3-კაციანი კოლეგია, რომელიც ირჩევა წილისყრით. საქმეებს პირველი ინსტანციით იხილავენ სააპელაციო სასამართლოს, ხოლო მეორე ინსტანციით საკასაციო ინსტანციის მოსამართლეები (მუხ. 110).

ბოსნიის კანონპროექტი ითვალისწინებს დისციპლინურ საქმეზე გამოტანილი გადანყვეტილების გასაჩივრებას 2 ინსტანციით - პირველი ინსტანციის სადისციპლინო კომისიის გადანყვეტილება საჩივრდება მეორე ინსტანციის სადისციპლინო კომისიაში, ხოლო ამ უკანასკნელის გადანყვეტილება საჩივრდება მაღალ სამოსამართლო და საპროკურორო საბჭოში.

ასევე, საინტერესოა ბულგარეთის კანონმდებლობაც, სადაც მოსამართლის გათავისუფლების შემთხვევაში, არსებობს კიდევ ერთი დამატებით გასაჩივრების მექანიზმი, კერძოდ, ეს გადანყვეტილება უზენაესი სასამართლოს 3-კაციანი კოლეგიიდან საჩივრდება 5-კაციან კოლეგიაში⁵⁴.

ზოგი ქვეყნის კანონმდებლობა დეტალურად ადგენს გასაჩივრების საფუძვლებს, კერძოდ კოსოვოს კანონით ეს შეიძლება იყოს: 1. კანონის ან კანონქვემდებარე აქტების დარღვევა, რომლებიც ეხება მოსამართლეებს და მსაჯულებს; 2. მცდარი ან არასრული მტკიცებულება ან ფაქტების დადასტურება 3. დისციპლინური პროცედურების დარღვევა⁵⁵.

მაგ. მონტენეგროს სასამართლო საბჭოს მიერ მიღებული წესების 65-ე მუხლით გასაჩივრების საფუძველი შეიძლება იყოს პროცესუალური წესების დარღვევა, რასაც შეიძლება გავლენა მოეხდინა გადანყვეტილების მიღების პროცესზე; ფაქტების არასწორი ან არასრულყოფილი დადგენა; მატერიალური სამართლის არასწორი გამოყენება.

გარდა ამისა, საჩივარში არ შეიძლება წარმოდგენილი იქნას ახალი ფაქტები და ახალი მტკიცებულებები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარისათვის საპატიო მიზეზით წინათ უცნობი იყო მათი არსებობა.

სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობა იცნობს ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო გადანყვეტილების გადახედვის მექანიზმს (მაგ. იტალია, პოლონეთი, ინგლისი). პოლონეთში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო დისციპლინური გადანყვეტილება შეიძლება გადაიხედოს

⁵³ თუმცა საბჭოს ის წევრი, რომელიც მონაწილეობდა საქმის არსებით განხილვაში, მონაწილეობას ვერ მიიღებს საჩივრის განხილვისას - იხ. მაგ. კოსოვო.

⁵⁴ ბულგარეთის კანონი, მუხ. 323

⁵⁵ მუხ. 40

გამართლების საზიანოდ გადანყვეტილების მიღებიდან 5 წლის ვადაში, ხოლო მის
სასარგებლოდ ვადის შეუზღუდავად (მუხ. 126).